



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49. 49233542

თარიღი:20/12/2023

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალანჩივაძის წინადადება საკრებულოს სხდომაზე რიგი საკითხების განხილვისა და რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ. ვინაიდან წერილში მითითებული საკითხები არის საკრებულოს კვარტალური სამუშაო გეგმით გაუთვალისწინებელი საკითხები, რომლებიც საჭიროებენ სასწრაფოდ განხილვას, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2023 წლის 21 დეკემბერს, 13 : 00 საათზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე, მოწვეული იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: არჩილ ღიბრაძე,თანამომხს: ფატი გაგოშიძე/

2.,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №35

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: არჩილ ღიბრაძე,თანამომხს: ფატი გაგოშიძე/

3.,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულების პოზიციებზე დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის #28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს : არჩილ ლიბრაძე/

4. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის #52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: არჩილ ლიბრაძე/

5.„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 სექტემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: არჩილ ლიბრაძე/

6.„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის #52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მაკა ჭელიძე/

7.„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სამხედრო აღრიცხვის , გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის #50 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

/მომხს: მაკა ჭელიძე/

8.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით - იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ (№48-4823341145,)

/მომხს:რევაზ დიდავა,თანამომხს: მარეხ კანკაძე/

9.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით - იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ(№48-4823341147) .

/მომხს:რევაზ დიდავა,თანამომხს: მარეხ კანკაძე/

10.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ წყალტუბოში, წერეთლის ქუჩა №11-ში მდებარე, შენობის პირველ და მეორე სართულზე განთავსებული 546,50 კვ.მ. ფართის (საკ.კოდი №29.08.31.529.01.5000) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სამხატვრო სკოლის განსათავსებლად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-სათვის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხს:რევაზ დიდავა,თანამომხს: მარეხ კანკაძე/

11.ქალაქ წყალტუბოში , რუსთაველის ქუჩა #27-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ.კოდი#29.08.34.107)პირველ სართულზე განთავსებული 33.5კვ.მ. ფართის

სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ცენტრის განსათავსებლად ა(ა)იპ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი"-სათვის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხს:რევაზ დიდავა,თანამომხს: მარეხ კანკაძე/

12.ქალაქ წყალტუბოში , რუსთაველის ქუჩა #27-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ.კოდი#29.08.34.107)პირველ სართულზე განთავსებული 13.25კვ.მ. ფართის ინდ. მეწარმე მურთაზ კანკაძისათვის''ადგილობრივი ბეჭდვითი გაზეთის ფუნქციონირების მიზნით, საოფისე ფართისათვის სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2(ორი) წლის ვადით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხს:რევაზ დიდავა,თანამომხს: მარეხ კანკაძე/

13.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში, მოქალაქე არჩილ მენტემაშვილის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.13.38.588) სასტუმრო დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობის განხორციელებისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის ინიცირების თაობაზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილების-თანხმობის შეთანხმების შესახებ.

/მომხს:რევაზ დიდავა,თანამომხს: მარეხ კანკაძე/

14. სს „სილქნეტი“- სათვის ოპტიკურ -ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით, 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, ქალაქ წყალტუბოში, წერეთლის ქუჩის მიმდებარედ განთავსებული 5(ხუთი) ერთეული გარე განათების ბოძის (ხაზოვანი ნაგებობა) საკ.კოდი №29.00.452 გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხს: რევაზ დიდავა,თანამომხს: მარეხ კანკაძე/

15.შპს „ მაგთიკომი“- სათვის ოპტიკური კაბელის განთავსების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარით, 5(ხუთი) წლის ვადით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხს:რევაზ დიდავა,თანამომხს: მარეხ კანკაძე/

16. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: თეიმურაზ ჭეიშვილი/

2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს:

- ა) ბრძანების გამოქვეყნება;
- ბ) საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;
- გ) საკრებულოს წევრთა რეგისტრაცია 12:30 საათიდან.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის უფროსს გელა თათარაშვილს.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

